

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი 080359
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალობა წარმოადგენს ზოგადად დიზაინის სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ამ სფეროს ტრადიციული დარგებია ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი, ჯეჯიმი, ხელით მოჩითული ქსოვილები, ტრადიციული ნაქარგობა, მაკრამე, ლებვა.

II. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული, მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე თვითდასაქმების გზით.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება
- მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა
- მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი - III, IV, V და თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 45 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 60%-ს შეადგენს სასწავლო- საწარმოო პრაქტიკა.

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60

კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 60%-ს შეადგენს სასწავლო- საწარმოო პრაქტიკა. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 60%-ს შეადგენს სასწავლო- საწარმოო პრაქტიკა.

V. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის ფართო სპექტრის მქსოველის (ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი) სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და ტექნიკური ხერხები: ჰორიზონტალური დგიმებიანი საქსოვი დაზვის და გობელენის ვერტიკალური საქსოვი დაზვის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები; სამუშაო პალიტრის შედგენა ფერადი ნართის გამოყენებით, ქსელისა და მისაქსელის მომზადება, მარტივი ტილოს ხლართის ჩამოქსოვა გობელენისათვის, იცნობს ხალიჩის, გობელენისა და ჯეჯიმის (ფარდაგის) საქსოვი ნართის ღებვის ტექნოლოგიას; იცის ვერტიკალურ საქსოვ დაზვაზე ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიის ძირითადი ეტაპები, როგორცაა: ქსელის სიმჭიდროვის განსაზღვრა, მარყუჟის სისქის შერჩევა, საქსოვი ძაფებისაგან პალიტრის გაწყობა და ასევე გობელენის ჩამოქსოვის უნარზე დაყრდნობით ფერთა გამის შედგენა და განაწილება ტექნოლოგიური ცოდნის გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქციის ხარისხიანი შესრულებისათვის. აცნობიერებს ქსოვის ამა თუ იმ კონკრეტული ხერხის მეშვეობით გართულებული ტექნოლოგიური პროცესების ეტაპობრივი განხორციელებისათვის აუცილებელ ნაბიჯებს. იცის სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითადი პარამეტრები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გაგამოყენების უნარი</p>	<p>სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;</p>	<p>შეუძლია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახმარებით შეაფასოს კონკრეტული ამოცანის სირთულე, შეარჩიოს ქსოვის კონკრეტული მეთოდი და საჭირო ინსტრუმენტები, ეფექტურად გამოიყენოს მასალის თავისებურებები; კერძოდ, შეუძლია ვერტიკალური და ჰორიზონტალური საქსოვი დაზვის, ქსელისა და მისაქსელის ძაფების საშუალებით შეასრულოს ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის ნიმუშები ხლართების ნაირსახეობის, ქსოვის სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი</p>	<p>შეუძლია ქსოვის პროცესში წარმოქმნილი ტექნოლოგიური და</p>

	პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი;	ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა, სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი მეთოდების შეფასებისა და ანალიზის მეშვეობით, კერძოდ, შეუძლიადამოუკიდებლად მიიღოს ისეთი ტექნიკური გადაწყვეტილებები როგორცაა, მაგალითად, მასალის სტრუქტურული სხვაობის სწორად შერჩევა და სხვ.
კომუნიკაციის უნარი	ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დეკორატიული ქსოვილების სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეუძლია საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიზანდასახული გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. სრულყოფილად ფლობს ქსოვისა და ღებვის ტექნოლოგიების სპეციფიურ ტერმინოლოგიას მათ შორის უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	აცნობიერებს პროფესიული დაოსტატების მნიშვნელობას და შეუძლია კონკრეტული ამოცანების ფარგლებში გაიღრმავოს პროფესიული ცოდნა და შეიძინოს ახალი გამოცდილება; აცნობიერებს შემდგომი დაოსტატების აქტუალობას და შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა სწავლის გასაგრძელებლად.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად	აცნობიერებს მის მიერ არჩეული პროფესიის მნიშვნელობას, როგორც ხალხური რეწვის ერთ-ერთი წამყვანი დარგისა. იცავს შრომის უსაფრთხოების, ეთიკისა და გარემოს უსაფრთხოების ნორმებს. გაცნობიერებული აქვს (ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი) ქსოვის, როგორც ხალხური რეწვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ტრადიციის დამკვიდრების აქტუალობა და თავისი პროფესიული საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს მას.

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს	აქვს ქსოვილის მოჩითვის სფეროსთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს ქსოვილის
------------------------------	--	---

	პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	მოჩითვის ტექნოლოგიის ორი ძირითადი მეთოდი: ხელით ჩითვა და ფოტოფილმბეჭვდის წესით ჩითვა. მასზე დაყრდნობით იცის ქსოვილის მოჩითვის ორ ძირითად ტექნოლოგიასთან დაკავშირებული განსხვავებული პრობლემების გამოიკვანა და მათი დამოუკიდებლად გადაჭრა. იცის როგორც ქსოვილის ხელით მოჩითვის, ასევე ფოტოფილმბეჭვდის წესით ქსოვილების ამოდაღვისა და მოჩითვის ტექნოლოგიური პროცესების საბაზისო მეთოდები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ქსოვილის მოჩითვის პროცესში გამოიყენოს ხელმძღვანელისა თუ გამოცდილი სპეციალისტებისაგან, ან სპეციალური ლიტერატურის დამუშავებით მიღებული სანდო ინფორმაცია. შეუძლია საჩითავი ყალიბების ინდივიდუალურად შერჩევის გზით, სხვადასხვა ასორტიმენტის ქსოვილების დამზადება, ფოტოფილმბეჭვდის სპეციფიური შაბლონის სწორი ტექნიკური გამოყენება ქსოვილის ბეჭდვის დროს. შეუძლია გონივრული სტრატეგიის შემუშავება მოჩითული ქსოვილების ორი ძირითადი ტექნოლოგიის- ხელით ჩითვისა და ფოტოფილმბეჭვდის მეთოდის ოპტიმალურად შერჩევა საბოლოო ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად. შეუძლია მოჩითული ქსოვილის ხარისხის შეფასება და სამუშაო პროცესში დაგროვილი გამოცდილების გონივრულად გამოყენება შემდეგი ნაწარმის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ქსოვილის ბეჭდვის ტექნოლოგიების სპეციფიური პრობლემების გამოიკვანა და მათ გადასაწყვეტად შესაბამისი ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება, ორ ტექნოლოგიურ პროცესს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების სწორი განსაზღვრა და მიღებული შედეგების მართებული ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქსოვილის ბეჭდვის პროფესიასთან დაკავშირებულ არასტანდარტულ სიტუაციებში. არჩეული პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია შეარჩიოს ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგია, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელება როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიო-

	დამუშავება.	ნალებთან. შეუძლია უცხო ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ახალი ინფორმაციის მიღების მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	სწავლის პროცესში შეუძლია ცოდნის გაღრმავება, როგორც სპეციალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გაცნობის გზით, აგრეთვე მომიჯნავე დარგების (მაგ. მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაზისო საფუძვლების გაცნობის მეშვეობით, საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგადი და სპეციფიური ნორმების დაცვის აუცილებლობა. პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიის აქტუალურობის გაზრდის ხელშეწყობას და პოპულარიზაციას.

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	აქვს გობელენის ქსოვის სფეროსთან დაკავშირებული მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იცის გობელენის ქსოვის ტექნოლოგიური ნიუანსების განსხვავება და მათი რაციონალური გამოყენება სასურველი შედეგის მისაღებად, გაცნობიერებული აქვს მის მიერ არჩეული პროფესიის პერსპექტიულობა და აქტუალობა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია გობელენის ქსოვის სფეროს თეორიული და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება: დამოუკიდებლად შეუძლია ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული ესკიზისა თუ არსებული მხატვრული ნიმუშის ასლის დასამზადებლად რთული ფერადოვანი პალიტრის შედგენა, სხვადასხვა წარმოშობის ნართის შეღებვა, შაბლონის გადიდება, საქსოვი ჩარჩოს მომზადება, ქსელის სიმჭიდროვის განსაზღვრა, მისაქსელის სისქის შერჩევა, ქსოვა - ყველა აუცილებელი პარამეტრის დაცვით მაღალი ხარისხის მისაღებად, სხვადასხვა სტრუქტურული ხლართების გამოყენება.

დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>აქვს გობელენის ქსოვის პროცესში მოსალოდნელი ტექნიკური სირთულეების წინასწარ განსაზღვრის უნარი და იცის მათი აღმოფხვრის ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები, ქსოვის პროცესში შაბლონის ძირითადი პროპორციებისა და გრაფიკული ნახაზის შეცვლა სასურველი შედეგის მისაღწევად, ასევე ქსოვის პროცესში შეუძლია წინასწარ მომზადებული ძაფების განსაზღვრული პალიტრის შეცვლა ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული ესკიზის მიხედვით იდენტური გობელენის მასალაში შესასრულებლად.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია სწავლის საფეხურის გავლის შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. ასევე საკუთარი ნამუშევრების დემონსტრირება და პრეზენტაცია ფართო საზოგადოების წინაშე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შეუძლია პროფესიული საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და ანგარიშის წარდგენა უცხო ენაზე, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით დაგეგმოს სწავლის შემდგომი ეტაპი და განსაზღვროს ამ ეტაპის გავლის შედეგად მიღებული პროფესიული კვალიფიკაციის პერსპექტივა მისი შემდგომი კარიერისათვის .</p>
ღირებულებები	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აფასებს მის მიერ არჩეული პროფესიის ღირებულებას და შეუძლია ამ დამოკიდებულების ობიექტური წარდგენა ფართო საზოგადოების წინაშე. გაცნობიერებული აქვს მის მიერ არჩეული პროფესიის მდიდარი ტრადიციების როლი, აფასებს მათ და თავისი შრომითი საქმიანობით პოპულარიზაციას უწყევს ამ დარგს ფართო საზოგადოების წინაშე.</p>